

როგორ გავაუმჯობესოთ თანამშრომლობითი ურთიერთობები სკოლის დირექციასა და მასწავლებლებს შორის ეფექტური კომუნიკაციის მეშვეობით

თამარ ჯაფარიძე

ქეთევან ალაპიშვილი

ეთერი გავაშელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქეთევან ალაპიშვილი /ქ. ალაპიშვილი/

ეთერი გავაშელიშვილი /ე. გავაშელიშვილი/

თამარ ჯაფარიძე /თ. ჯაფარიძე/

26.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დირექციასა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ნაშრომი დაფუძნებულია პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგიაზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს კერძო სკოლა, „თანამედროვე განათლების აკადემია“-ში დირექციასა და კოლექტივს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების გაუმჯობესება ეფექტური კომუნიკაციის მეშვეობით.

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა, რის საფუძველზეც შემუშავდა ინტერვენციები. საკვლევი კითხვები ეხება დირექტორის მმართველობის ფორმებს, მასწავლებელთა მოტივაციას, დირექციისა და მასწავლებლების თანამშრომლობასა და სწავლა-სწავლების პროცესს.

განხორციელებული ინტერვენციების საფუძველზე გაიზარდა კომუნიკაცია დირექციასა და მასწავლებლებს შორის, გაუმჯობესდა სასკოლო კლიმატი და კვლევის შედეგები აისახა სწავლების ხარისხზეც.

იმედი გვაქვს, რომ სკოლა გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. აღნიშნული კვლევა სასარგებლო იქნება, არა მხოლოდ „თანამედროვე განათლების აკადემიის“, არამედ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებისა და მასწავლებლებისთვისაც.

საძიებო სიტყვები: თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოტივაცია, სწავლა-სწავლების პროცესი

Abstract

The present work is the action research report which has been carried out within the Education Administration Masters Program of Ilia State University regarding the improvement of cooperation between the management and the teachers.

This work is based on a action research methodology. The purpose of the research is to improve the cooperation between the management and the staff in the private school "Modern Education Academy" through effective communication.

At the first stage of research, the problem identification and the study of its causes has been carried out, on the basis of which the interventions have been developed. The questions of research deals with the governance forms of a director, motivation of teachers, cooperation of administration and teachers and the teaching and learning process.

Based on the implemented interventions the communication between the management and the teachers has increased, the school climate has improved and the results of the research have been reflected on the quality of teaching.

We hope that the school will continue to work in this direction. This research will be useful not only for the directors and teachers of "Modern Education Academy", but also for those of other educational institutions.

Keywords: cooperation, communication, motivation, learning and teaching process

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ სკოლის დირექტორს, ადმინისტრაციას და მონაწილე მასწავლებლებს თანამშრომლობისთვის და აქტიური მხარდაჭერისთვის. ასევე გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორს, ქალბატონ ქეთევან თოდაძეს თანადგომისთვის და გაწეული დახმარებისთვის.